

## პრესრელიზი

11 ივლისს, 14:00 საათზე რესტორან „Tiflis veranda“-ში შოკოლადის საერთაშორისო დღე აღინიშნება. ღონისძიების ორგანიზატორია ვებ-საიტი: [www.kveba.ge](http://www.kveba.ge)

**“შოკოლადის დღის” სპონსორები არიან კომპანიები :** ტკბილი ქვეყანა; ბაგრატიონი; გურჯაანის ნაყინი; "sandora", "nemiroff" და „Tiflis veranda“  
**საინფორმაციო მხარდაჭერა:** რადიო “ფორტუნა” “ფორტუნა+”

11 ივლისს მთელი მსოფლიო შოკოლადის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ვებ-საიტ [www.kveba.ge](http://www.kveba.ge) -ის დამფუძნებლების ინიციატივით, ჩაეყარა საფუძველი ამ დღის აღნიშვნას საქართველოშიც. მომდევნო წლიდან შოკოლადის დღე ფესტივალის სახეს მიიღებს და თბილისში ყოველწლიურად გაიმართება.

ორგანიზატორების მიერ შოკოლადის დღის აღნიშვნას გართობასთან ერთად, სხვა მიზანიც აქვს. ეს არის ჯანსაღი საკვების პოპულარიზაცია და იმ კომპანიების წახალისება, წარმოქმნა, ვინც ჯანსაღ, ხარისხიან, სანდო პროდუქციას აწარმოებს და წარმოადგენს ქართულ ბაზარზე.

საიტი მრავალმხრივი, განახლებადი ინფორმაციებით, საშუალებას აძლევს მომხმარებელსაც და მეწარმესაც ინფორმირებული იყოს კვების სფეროში უამრავი საჭირო ინფორმაციით, რომელიც ჯანსაღი კვების ხელშეწყობას ემსახურება, ასევე კვების სფეროში მომსახურების ხარისხის ამაღლებს და ხარისხიანი პროდუქციის წარმოებას უწყობს ხელს.

გურმანების საიტზე [www.kveba.ge](http://www.kveba.ge)-ზე ყველაფერია კვების შესახებ. ახალი ამბები, რჩევები, დიეტები, საბაზრო ფასები და რეცეპტები. კვების ობიექტების რეკვიზიტები, ექსპერტების აზრი კვების საკითხებთან დაკავშირებით და სხვა ინფორმაცია.

“შოკოლადის დღეს” მოწვეულ სტუმრებს შოკოლადის ნაწარმს წარუდგენენ ყველაზე სანდო და ხარისხით გამორჩეული საკონდიტროები. იმისათვის რომ შეაფასონ და გამოვავლინონ საუკეთესოთა შორის საუკეთესო, ტორტები ნომრების მიხედვით განლაგდება, სტუმრებს კი ხმის მიცემის საშუალება ექნებათ.

კონკურსში მონაწილეობენ შემდეგი საკონდიტროები: **“ბელა”, “ითი” “პანეტერია”, “ჩერი” და კომპანია “ტკბილი ქვეყანა”**

გამარჯვებული გამოვლინდება ორ ნომინაციაში: “შოკოლადის ტორტის საუკეთესოდ გაფორმება” და “უგემრიელესი შოკოლადის ტორტი”.

გამარჯვებულს გადაეცემა 50 % ფასდაკლების ბარათი [www.kveba.ge](http://www.kveba.ge) საიტზე რეკლამის განთავსებისთვის. პრიზებს ასევე გადასცემენ სპონსორები **“ტკბილი ქვეყანა; “ბაგრატიონი” “გურჯაანის ნაყინი” “sandora”, “nemiroff” და „Tiflis veranda”**

კონკურსში სხვა დანარჩენ მონაწილეებს ვებ-საიტ [www.kveba.ge](http://www.kveba.ge) გადასცემს 25 %-იან ფასდაკლების ბარათს საიტზე რეკლამის განთავსებისთვის.

**შოკოლადის საერთაშორისო დღე ფრანგებმა დაარსეს და პირველად 1995 წელს აღნიშნეს.**

სიტყვა "შოკოლადი" კაკოს მარცვლებისგან დამზადებული სასმელის - "ჩოკოლატლის" დასახელებიდან მომდინარეობს.. არის აზრი რომ პირველად შოკოლადის კეთება ატცეკებმა ისწავლეს. ისინი შოკოლადს "ღმერთების საკვებს" უწოდებდნენ. ესპანელები კი რომლებმაც პირველებმა შიტანეს ის ევროპაში. შოკოლადს " შავ ოქროდ" მოიხსენიებდნენ და იყენებდნენ მას ფიზიკური ძალების და გამძლეობის ასამაღლებლად. ატცეკების ენაზე "ჩოკოლი" "სიმწარეს" ნიშნავს, ხოლო "ატლი" - "წყალს", რომლისგანაც შოკოლადის სასმელი მზადდება.

დღესდღეობით ბევრი სპეციალისტი გვირჩევს ყავის ნაცვლათ შავი შოკოლადის გამოყენებას. ისინი თვლიან, რომ შოკოლადი უფრო სასარგებლოა გულისთვის, ვიდრე შავი ღვინო, ჩაი ან ვაშლი.

თანამედროვე მეცნიერების მიერ დადგენილია რომ შოკოლადი შეიცავს ელემენტებს რომელიც განაპირობებს დასვენების და ფსიქოლოგიური განტვირთვის და ძალების აღდგენის შესაძლებლობას. შავი შოკოლადი ასტიმულირებს ენდორფინების( მას ბედნიერების ჰორმონებს უწოდებენ) გამოყოფას ორგანიზმში, რომლებიც განაპირობებენ განწყობის გაუმჯობესებას, ორგანიზმის ტონუსის ამაღლებას.